# რეესტრიდან ამონაწერი № ________

შპს "ინტელ ბროკერი"
(რეგისტრირებული პირის სახელი, გვარი /სრული დასახელება)

თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 127
(იურიდიული მისამართი)

საიდენტიფიკაციო/ სარეგისტრაციო ნომერი: 2/4-2097; 202065095

პიროვნული ანგარიშის № 0001-A-00034

რეგისტრირებული პირი არის ბენეფიციარი მესაკუთრე
(ნომინალური მფლობელი/ბენეფიციარი მესაკუთრე)

თანამესაკუთრეთა რაოდენობა: 0

წინამდებარე ამონაწერი ადასტურებს, რომ 11/02/2016 (რიცხვი, თვე) მდგომარეობით

სს კავკასრეესტრი 5ა/5-58; 211369115
(სააქციო საზოგადოების სრული დასახელება და საიდენტიფიკაციო/სარეგისტრაციო ნომერი)

თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. 74ა
(იურიდიული მისამართი)

ნებადართეული ფასიანი ქაღალდების რაოდენობა 15 000

განთავსებული ფასიანი ქაღალდების რაოდენობა 14 600

რეესტრის მონაცემების მიხედვით ზემოხსენებული პირის ანგარიშზე ირიცხება შემდეგი ფასიანი ქაღალდები:

| კლასი | ფქსსნ | ნომინალური ღირებულება | ფასიანი ქაღალდების რაოდენობა | %-ლი წილი კაპიტალში | %-ლი წილი განთავსებული ფ.ქ. რაოდენობიდან | ბლოკირებული ფასიანი ქაღალდების რაოდენობა |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩვეულებრივი | | 1 ლარი | 25 | 0.166667 | 0.171233 | 0 |

1. წინამდებარე რეესტრიდან ამონაწერი არ წარმოადგენს ფასიან ქაღალდს. იგი მხოლოდ ადასტურებს, რომ რეესტრიდან ამონაწერში ხსენებული პირი არის ამონაწერში აღნიშნული ფასიანი ქაღალდების მფლობელი მოცემული თარიღისათვის.
2. რეესტრიდან ამონაწერში აღნიშნული ყველა ფასიანი ქაღალდის ან მათი ნაწილის გადასაცემად და ახალი მფლობელის რეგისტრაციისათვის:
   - სავალდებულოა შესაბამისად შედგენილი დოკუმენტების, მათ შორის დადგენილი წესით გაფორმებული გადასაცემი განკარგულების წარდგენა რეგისტრატორისათვის.
   - რეესტრიდან ამონაწერის წარდგენა რეგისტრატორისათვის არ არის სავალდებულო.
   - მატერიალიზებული ფასიანი ქაღალდების და სერთიფიკატების არსებობის შემთხვევაში სავალდებულოა მათი წარდგენა რეგისტრატორისათვის.
3. ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორი ვალდებულია რეესტრიდან ამონაწერი გასცეს რეგისტრირებულ პირზე ანაზღაურების გარეშე წელიწადში ერთხელ, ასევე ამ პირის პიროვნულ ანგარიშზე ნებისმიერი ცვლილების შეტანის შემთხვევაში, ყოველ სხვა შემთხვევაში კი რეესტრიდან ამონაწერის გაცემა მოხდება ანაზღაურებით.
4. რეესტრიდან ამონაწერის მისაღებად რეგისტირებულ პირს შეუძლია მიმართოს სააქციო საზოგადოების აქციათა რეესტრის მწარმოებელ ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორს შემდეგ მისამართზე:

ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორი: ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორი "კავკასრეესტრი"

თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. 71, მე-10 ბლოკი, სართ. 7
(საფოსტო მისამართი)

რეგისტრატორის უფლებამოსილი პირი ________ ბ.ა.
(ხელმოწერა)

11 თებერვალი 2016 წელი
(რეესტრიდან ამონაწერის გაცემის თარიღი)

რეგისტრირებულია საქართველოს
ფინანსთა სამინისტროს
საგადასახადო დეპარტამენტის
თბილისის საგადასახადო ინსპექციის
უფროსის ბრძანებით
№ 7053/006-ს/5-584/გ

22 2006წ.

მიღებულია სს „კავკასრეესტრის"
აქციონერთა კრების მიერ
2006 წლის 22 მაისს,
(ოქმის სანოტარო რეესტრში
რეგისტრაციის №1-483)

# სააქციო საზოგადოება „კავკასრეესტრის"

## წ ე ს დ ე ბ ა

(ახალი რედაქცია)

თბილისი
2006წ.

უმაღლესი მარეგულირებელი ორგანოს ლიცენზიითა და მომსახურე პირებთან დადებული ხელშეკრულებებით.

2.2. „კავკასრეესტრი" ვალდებულია თავისი წესები შეიმუშაოს კანონმდებლობისა და ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისიის წესების შესაბამისად.

2.3. „კავკასრეესტრს" აკრძალული აქვს ყოველგვარი საქმიანობა, გარდა ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორობისა.

## III. საწესდებო კაპიტალი და აქციები

3.1. ს.ს. "კავკასრეესტრის" საწესდებო კაპიტალი შეადგენს 15000 (თხუთმეტი ათასი) ლარს. იგი დაყოფილია ერთი ლარის ნომინალური ღირებულების თხუთმეტი ათას ცალ აქციად.

3.2. ს.ს. "კავკასრეესტრის" აქციების ფლობის უფლება და ერთი პირის საკუთრებაში არსებული აქციების რაოდენობის დასაშვები მაქსიმალური ზღვარი განისაზღვრება „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" საქართველოს კანონით.

3.3. საზოგადოების აქციათა გადაცემა დამოკიდებულია საზოგადოების თანხმობაზე. ამასთან, საზოგადოება ვალდებულია განაცხადოს თანხმობა აქციათა გადაცემაზე, თუ ამით მის არსებით ინტერესებს საფრთხე არ ემუქრება. თანხმობას იძლევა დირექტორი სამეთვალყურეო საბჭოს ნებართვით.

3.4. აქციონერთა უფლებებში შედის:

3.4.1. მიიღონ მონაწილეობა სააქციო საზოგადოების მართვაში აქციონერთა კუთვნილი ხმების შესაბამისად.

3.4.2. გაეცნონ საზოგადოების სამეურნეო–საფინანსო საქმიანობის შედეგებს.

3.4.3. მიიღონ ინფორმაცია საზოგადოებაში აღრიცხვის და კონტროლის სისტემის მდგომარეობის შესახებ.

3.5. ს.ს. "კავკასრეესტრის" შემოსავალი იქმნება საკომისიო და სხვა გადასახდელებისაგან, რომელთა ოდენობასაც განსაზღვრავს საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭო.

3.6. სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახდელებისა და სხვა ვალდებულებების დაფარვის შემდეგ დარჩენილი შემოსავალი გადადის სააქციო საზოგადოების სრულ განკარგულებაში.